ინვესტიციური ერთობიანია საცხოვრებელი სახლების კომპლექსი ქალაქი

"LISI HILLS"

თბილისი,ლისის ტბის მიმდებარედ,სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, (*!H!$H!'H**!H!($]*!H!$H!'H**!H!(%]]*!H!*H!(H**&H!##]*!H!*H!(H**&H!#$N



Edifice ART Urban

ინბდივიდუალური ერთბიანია საცხოვრებელი სახლების კომპლექსი

"LISI HILLS"

ქალაქი თბილისი , ლისის ტბის მიმდებარედ , სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, 01.14.17.001.184 / 01.14.17.001.185 / 01.10.18.006.133 / 01.10.18.006.134

განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების ალბომი

დამკვეთი: შ.პ.ს."ლისი ლეიქ დეველოპმენტ"

შემსრულებელი: შ.პ.ს."Edifice ART Urban"

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თბილისი
2018 წ.

დამტკიცებული
სატრანსპორტო სქემა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01181452878**

თარიღი: **25.05.2018**

ადრესატი:
იანეკ შიხიაშვილი
პირადი ნომერი: 01011030924
მისამართი: ლისის ქ. 1, ბლოკი ბ2 ბ.7

მოქალაქე იანეკ შიხიაშვილს

ბატონო იანეკ,

თქვენი მ/წლის 24 მაისის განცხადებით (მერიაში რეგისტრაციის №19/01181442272-16; 24.05.2018წ.) წარმოდგენილი მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სამსახურის მიერ შეთანხმებულია.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დანართი: A3 ფურცლები

პატივისცემით,

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

ვასილ აბულაძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 3 18 01261333

29/05/2018

მოქ. ი. შიხიაშვილს
თბილისი განთიადის ქ. N 22;
თქვენს 2018 წლის 28 მაისის განცხადებაზე
ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის
მოადგილეს ბ–ნ ლაშა ჯოხაძეს

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში მწვანე ქალაქი ლისის ნაკვეთებზე ს/კ.01.14.17.001.184, ს/კ.01.14.17.001.185, ს/კ .01.10.18.006.134 და ს/კ. 01.10.18.006.133,–ის მიმდებარედ შესასვლელ–გამოსასვლელი გზის მოწყობას, რაზეც ითხოვთ წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობას და ქ. თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილებას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს წარმოდგენილ დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემას და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ ზემოაღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- დაცული იქნას ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების და დამთავრების შესახებ წინასწარ ეცნობოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241-85-04; 241-85-05);

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური

90, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
38, Noe Ramishvili St. 0190, Thilisi, Georgia

ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 85 02
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02

საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 7 ფურცლად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
/ საორგანიზაციო სამმართველო /
საგზაო მოძრაობის ზედამხედველობის
განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01180954319**

თარიღი: **05.04.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
იანეკ შიხიაშვილი
პირადი ნომერი: 01011030924
მისამართი: თბილისი განთიადის ქ. N 22

თქვენი 2018 წლის 23 იანვრის AR1570849 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.14.17.001.184, 01.14.17.001.185, 01.10.18.006.134, 01.10.18.006.133) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ, იმისთვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხის სრულყოფილად განხილვის შესაძლებლობა, საჭიროა გასწორდეს რიგი ხარვეზი, **კერძოდ:**

წარმოსადგენია, განაშენიანების რეგულირების გეგმის წინასაპროექტო კვლევა, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების ტექნიკური რეგლამენტის 22-ე მუხლის თანახმად. გთხოვთ, წარმოადგინოთ დარჩენილი კვლევის ნაწილი:

1. ფიზიკური გარემოს კვლევა:

ბ) საპროექტო ტერიტორიის ტოპოგეოდეზიურ რუკა;

ტოპოგრაფიული გეგმა

- წარმოადგინეთ ნახაზი მიწის ნაკვეთ(ებ)ის რეგისტრირებული საკადასტრო საზღვრების ჩვენებით (აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული იქნეს www.tas.ge-ზე შესაბამის ველში წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც, განაახლეთ pdf და CAD ფაილები);

ი) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი (არსებულ კომუნიკაციებთან დაერთების წერტილების ჩვენებით)

ნახაზზე წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ხაზობრივი ნაგებობები (შესაბამისი კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობა და დაცვის ზოლი) და პარამეტრების ცხრილი;(პოტენციალი);

- ცხრილში წარმოადგინეთ ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი ელექტრომომარაგების ქსელისთვის საჭირო სიმძლავრე(ები) და პოტენციალი.
- ტექსტურ ნაწილში წარმოადგინეთ ქსელით უზრუნველყოფის განმარტებები;

კ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი (არსებულ კომუნიკაციებთან დაერთების წერტილების ჩვენებით)

ნახაზზე წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და

ლოკალური ქსელი (შესაბამისი კატეგორიის საზოგრივი ნაგებობა და დაცვის ზოლი) და პარამეტრების ცხრილი (პოტენციალი);

- ცხრილში წარმოადგინეთ ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელისთვის საჭირო სიმძლავრე(ები);
- ტექსტურ ნაწილში წარმოადგინეთ ქსელით უზრუნველყოფის განმარტებები;

მ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების ქსელი (ნახაზი დამუშავებულია ლოკალურად, მხოლოდ დაინტერესებაში არსებული არეალის ფარგლებში).

საჭიროა ნახაზი მომზადდეს მუხრან მაჭავარიანის ქუჩასთან კავშირის ჩვენებით

- ნახაზი წარმოადგინეთ აეროფოტო/სატელიტური ფოტოს საფუძველზე, იმგვარად რომ ჩანდეს ქალაქის სატრანსპორტო ქსელთან კავშირები;
- ნახაზზე წარმოადგინეთ არსებული ან/და დაგეგმილი ძირითადი და ლოკალური **საავტომობილო გზები/ქუჩები** და შესაბამისი პარამეტრების **ცხრილი;**
- პარამეტრების ცხრილში მოცემული უნდა იყოს **ქუჩების/გზების იერარქია** (სახელმწიფო, საქალაქო, საუბნო), **კატეგორიები** (I, II, III - მთავრობის **57-ე** დადგენილების მიხედვით) და სატრანსპორტო დატვირთვების ანგარიში;

2. დოკუმენტური კვლევა: მოიცავს საპროექტო ტერიტორიაზე, მისი დაგეგმარებისათვის საჭირო, არსებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების სამართლებრივი აქტების, სამართლებრივი რეჟიმების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მონაცემებს, დაკავშირებულ ანალიტიკურ და სამეცნიერო მასალებს;

3. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება:

ბ) განმარტებული უნდა იყოს დაგეგმვის ამოცანები — **რა გარემოებები იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტებში და რა გამოწვევებს პასუხობს გრგ;**

გ) ალბომის ტექსტურ ნაწილში წარმოადგინეთ **გრგ დაგეგმვის შედეგად გასაწევი სარჯების გადანაწილების პირობები და მათი სამომავლო შედეგები (ეფექტი), სადაც დეტალურად აღწერილი იქნება კომუნიკაციებთან და გზის მიყვანასთან დაკავშირებით სარჯები და ვალდებულებები;**

დ) ალბომის ტექსტურ ნაწილში **წარმოადგინეთ პროექტის განხორციელების სარგებლიანობის** შეფასება კერძო და **საჯარო ინტერესების ჭრილში;**

4. წარმოდგენილი საპროექტო წინადადების დეტალური განმარტებითი ბარათი;

ამასთან, აღნიშნული საკითხი სამსახურმა განსახილველად გადააგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურებში, რომელთა პოზიციების გათვალისწინებაც, გეგმარებითი დავალების წინასაპროექტო კვლევისას, აუცილებელია, კერძოდ:

<u>ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიცია:</u>

„2018 წლის 16 მარტს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შემოსული #67-0118075490 წერილის, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისში ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (AR1570849) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს, პასუხად გაცნობებთ, რომ არსებული ტერიტორია მდებარეობს გაუნაშენიანებელ გარემოში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად იგეგმება

ინდივიდუალური ტიპის საცხოვრებელი სახლების უბანი, ხოლო მსგავსი ტიპის განაშენიანებას, რომელიც მოწყვეტილია ქალაქის განაშენიანებულ ტერიტორიას, ახასიათებს მანქანაზე დამოკიდებულება. ასეთი განაშენიანების მაცხოვრებლების თითქმის ყველა მგზავრობის განხორციელება მოითხოვს შორ მანძილებზე გადადგილებას, შესაბამისად ასეთ დასახლებას ახასიათებთ უარყოფითი სატრანსპორტო და ეკოლოგიური შედეგები. გაშლილ ტერიტორიაზე მცირე მგზავრთნაკადის გამო, ასეთი ტიპის განაშენიანება ვერ იქნება მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაღალი სიხშირით და კომფორტული გადაადგილებით, შესაბამისად განაშენიანება იქნება მანქანაზე დამოკიდებული. ასეთი განაშენიანების დაშვების შემთხვევაში გაჩნდება მიმდებარე ტერიტორიის იმავე პრინციპით განვითარების პრეცენდენტი, რითაც ბუნებრივია გაიზრდება მიზიდული მსუბუქი მანქანების რაოდენობა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მიმდებარე გზების გამტარუნარიანობაზე. თუმცა ტრანსპორტის სამსახურის მიერ, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარების და მათი სატრანსპორტო ქსელით უზრუნველყოფის თაობაზე საბოლოო პოზიციის დასაფიქსირებლად აუცილებლად მიგვაჩნია წარმოდგენილი იქნას საპროექტო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სატრანსპორტო კვლევა, როგორც ეს გათვალისწინებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით.“

<u>გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:</u>

„თქვენი ამა წლის 14 მარტის N 67-01180732519 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, 01.14.17.001.185, 01.10.18.006.134, 01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების (AR1570849 23.01.2018) განხილვას და კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებული გამწვანებული არეალები მოცულობის წილობრივი მაჩვენებლებით შესაბამისობაშია განაშენიანების ინტენსივობის მაჩვენებლებთან. აქედან გამომდინარე, სამსახური საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული განაშენიანების წინააღმდეგი არ არის. **გთხოვთ, ასევე წარმოდგენილ იქნას გამწვანების დენდროლოგიური პროექტის ესკიზური ვარიანტი“.**

გთხოვთ, წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული სამსახურების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

შესწორებული დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს **http://tas.ge/-ზე** ამავე განაცხადის დახარვეზებულ ან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ველში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;

თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;

თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;

განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოსადგენად გეძლევათ **30 დღე.**

გაითვალისწინეთ, რომ დადგენილ ვადაში დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ტრანსპორტის სააქალაქო სამსახურის
უშრომის მოადგილე

ვ. აბულაძე

25. 05 2018

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის
მთავარი სამმართველოს უშროსის
მოადგილე

ლ. ჯოხაძე

2018



ჩრდილოეთი

მოსაწყობი საგზაო ნიშნები

5.21 1 - ცალი

5.22 1 - ცალი

1. არსებული განაშენიანება
2. მშენებარე ობიექტი
3. პერსპექტიული განაშენიანება
4. მუხრან მაჭავარიანის ქ.

სქემა №2'. საკვლევი ობიექტის საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის სააქალაქო სამსახურის უშროსის მოადგილე

ვ. აბულაძე

---------- 2018

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უშროსის მოადგილე

ლ. ჯოხაძე

----------2018

ჩრდილოეთი



მოსაწყობი საგზაო ნიშნები

5.21 1 - ცალი

5.22 1 - ცალი

1. არსებული განაშენიანება
2. მშენებარე ობიექტი
3. პერსპექტიული განაშენიანება
4. მუხრან მაჭავარიანის ქ.

სქემა №2'. საკვლევი ობიექტის საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა



C.V.V.1

საპროექტო ორგანიზაცია

EDIFICE ART URBAN

პროექტის დასახელება

ინვდივიდუალური ერთბიანია საცხოვრებელი სახლების კომპლექსი "LISI HILLS" ქალაქი თბილისი,ლისის ტბის მიმდებარედ,სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, * !#! $#! '#** !#! ($] * !#! $#! '#** !#! (%)] * !#! *#! (#**&#!##] * !#! *#! (#**&#!#$

განაშენიანების რეგულირების გეგმა

ვიზუალიზაცია

არქიტექტორი

იანეკ შიხიაშვილი

მასშტაბი ---:---

ფურცელი № 68

თარიღი: აგვისტო 2017